განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა
შპს ნიუ უნივერსითი (შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი)

30 ოქტომბერი

25 ნოემბერი

თბილისი
2019 წ.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ნიუ უნივერსითი, ამჟამად **შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204379083
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ალექსიძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო შენგელია, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სერგი ჯორბენაძე "JMG & Partners", მმართველი პარტნიორი, გენერალური დირექტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი;

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უსდ-ს ს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 19 ნოემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 206 გადაწყვეტილებით. 2019 წლის 30 ოქტორმბერს განხოციელებულმა ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებს აკრედიტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაბამისი პროგრამით გაწერილ მითითებებს. დაწესებულებას აქვს პრეტენზია დააკმაყოფილოს სასწავლო უნივერსიტეტის თამასა, თუმცა მოცემულ ეტაპზე დაწესებულების სახე არის საბაკალავრო „კოლეჯი“.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უსდ-ში აკრედიტაციასთან დაკავშირებული ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ინფრასტრუქტურა და გასაუბრობოდნენ როგორც ფაკულტეტის სამეცნიერო და პედაგოგიურ პერსონალს, ასევე, ადმინისტრაციას, დეკანს, ზოგიერთ სტუდენტს და დამსაქმებლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის მიღმა, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიაჩნიათ, რომ კოლეჯში ამ ეტაპზე არსებობს გამოწვევები პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემური საკითხები ასახული დასკვნის შესაბამის ნაწილებში. ჯგუფს მიაჩნია რომ პროგრამა არის საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისი. გამონაკლისი ეხება მეორე და მეხუთე სტანდარტებს, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ პროგრამა არის სტანდარტებთან მეტწილად შესაბამისი.

- **რეკომენდაციები**

  - **მიზანშეწონილია განისაზღვროს უცხოელ პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი პირობები, რათა მიღწევადი იყოს მათ მიერ ქართულენოვანი სამართლის საბაკალავრო პროგრამის დაძლევა.**

  - **მიზანშეწონილია განისაზღვროს უცხოელ პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი პირობები, რათა მიღწევადი იყოს მათ მიერ ქართულენოვანი სამართლის საბაკალავრო პროგრამის დაძლევა.**

  - **სასწავლო კურსი შრომის სამართალი, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად პასუხობს წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსს, თუმცა, სილაბუსში არ არის მითითებული, საკმაოდ მნიშვნელოვანი და დარგისთვის ფუნდამენტური - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძრვანელო - საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები (2017), სასურველია, შრომის სამართლის სილაბუსი მოდიფიცირებულ იქნეს და დაემატოს აღნიშული სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს;**

- საგანში - "სანივთო (ქონებრივი) სამართალი" ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია - თამარ ზარანდია, სანივთო სამართლის საფუძვლები, თბ., 2016. აღსანიშნავია, ავტორის მიერ, 2019 წელს გამოიცა, ამავე სახელმძღვანელოს მეორე, შევსებული რედაქცია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ სილაბუსის განახლების მიზნით მოხდეს ჩანაცვლება.

- სწავლის ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროგრამით გათვალისწინებული მიზნების ჯეროვანი შესრულების და სტუდენტების შეფასებისადმი მაქსიმალურად თანაბარი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია, გამონაკლისი წესით, სასემინარო აქტივობების „ექსტერნად" ჩაბარების და ე.წ. სასემინარო აქტივობების „აღდგენისათვის" ყველა საგნისთვის დამოუკიდებლად განისაზღვროს შესაბამისი ზღვარი, კონკრეტული საათების მაქიმალური რაოდენობის მითითებით. მნიშვნელოვანია აღნიშნული წესები დეტალურად და მკაფიოდ გაიწეროს სასწავლო წესის მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტებისათვის გასაგებად განიმარტოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში და უზრუნველყოფილი იყოს მათი სათანადო ხელმისაწვდომობა.

- სასწავლო პროცესის ნორმალიზების, სასწავლო ცხრილის მდგრადობის და პერსონალის დატვირთვის შესაბამისი საჭიროების კვლევაზე/გამოკითხვაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგად უსდ-მ უნდა განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა და სტრატეგია სასწავლო ცხრილის მოქნილობასთან მიმართებით. მოქნილობის უზრუნველყოფის კონცეპტუალური ხედვის მიღმა, აუცილებელია უსდ-ს მისი პრაქტიკაში რეალიზაციის პროცესის შესაბამისი ხედვა გააჩნდეს.

- მიზანშეწონილია, კოლეჯმა 3.1. აგრეთვე 2.6 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნებისთვის გადახედოს საკონსულტაციო საათების პოლიტიკას, რათა არსებულმა „აღდგენების" პრაქტიკამ არაპროპორციულად არ იმოქმედოს ლექტორთა დატვირთვის ზრდაზე. კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს სისტემური ხედვა/სტრატეგია სტუდენტებზე ორიენტირებული გრაფიკისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის გამოწვევების გათვალისწინებით.

- პროგრამის განვითარებისთვის შედეგზე ორიენტირებული ანალიზის შემდგომი პერიოდული კვლევები უფრო სრულყოფილად ჩატარდეს, რათა ისინი მეტად ასახავდეს არსებულ გამოწვევებს, მეტად წარმომადგენლობითი, საჭიროებაზე ორიენტირებული იყოს; უცხოელთა მაღალი ხვედრითი წილის ფონზე, სისტემური, პერიოდული კვლევისას გამოიყოს შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფები. მოხდეს დამატებითი საჭიროებაზე ორიენტირებული კვლევ(ებ)ის ჩატარება უცხოენოვანი სტუდენტური კომპონენტის გათვალისწინებით /ფართე კვლევების ფარგლებში ჩაიშალოს შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს არსებული სპეციფიკის გათვალისწინება. პროგრამის შემდგომი განვითარების პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად მჭიდროდ ითანამშრომლოს პროგრამის ადმინისტრაციასთან რათა წინასწარ გამოიკვეთოს ის საკითხები, რომელთა ანალიზიც სამართლის საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრაციის ხედვით რაოდენობრივი/თვისებრივი კვლევის ფარგლებში საჭირო და საინტერესოა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ ეფექტურობისთვის სასურველია კოლეჯმა შეიმუშაოს პოლიტიკა და სტუდენტებს შესთავაზოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამის დაძლევა.

  - ✓ მიზანშეწონილია კოლეჯმა გადადგას ნაბიჯები პროგრამის მეტი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც შესაძლებელს გახდის უცხოენოვანი ლიტერატურის მითითებას, პროგრამაში ინგლისურენოვანის საგნების დამატებას, სტუდენტთა გააქტიურებას გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

  - ✓ შესაძლებელია იურიდიული ინგლისურის საგანს ინგლისური ენის მაღალ დონეზე მცოდნე (სულ მცირე C1) პროფესიით იურისტი გაუძღვეს.

  - ✓ ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია პროგრამზე განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტიდან ლექტორთა მოწვევა, ერთობლივი კვლევითი პროექტები, სტუდენტთა მოტივირება რომ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით.

  - ✓ მიზანშეწონილია საერთაშორისო სამართლის მოდული საჯარო სამართლის მოდულს გამოეყოს და ცალკე ჩამოყალიბდეს.

  - ✓ სასურველია პრაქტიკული კურსის ზოგიერთ შეფასებაში (მაგალითად, კერძო სამართლის მიმართულებით) პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობა, სადაც სტუდენტი უფრო დეტალურად შეძლებდა კოლეჯში მიღებული ცოდნის რეალიზებას, ხოლო, ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ მოხდებოდა შესაბამისი შეფასების წარმოდგენა უსდ-სთვის.აღნიშნული დაეხმარება კოლეჯს კონკურენტუნარიანი პროგრამის განვითარებაში.

  - ✓ სწავლის ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროგრამით გათვალისწინებული მიზნების ჯეროვანი შესრულების და სტუდენტები შეფასებისადმი მაქსიმალურად თანაბარი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია, გამონაკლისი წესით, სასემინარო აქტივობების „ექსტერნად“ ჩაბარების და ე.წ. სასემინარო აქტივობების „აღდგენისათვის“ ყველა საგნისთვის დამოუკიდებლად განისაზღვროს შესაბამისი ზღვარი, კონკრეტული საათების მაქიმალური რაოდენობის მითითებით. მნიშვნელოვანია აღნიშნული წესები დეტალურად და მკაფიოდ გაიწეროს სასწავლო წესის მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტებისათვის გასაგებად განიმარტოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში და უზრუნველყოფილი იყოს მათი სათანადო ხელმისაწვდომობა.

  - ✓ სასურველია, დაწესებულებამ სამომავლოდ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად პროგრამაში, სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული კომპონენტის შეთავაზება მოხდება; პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად დაეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და

პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ მათი სურვილისამებრ უფრო მარტივად დასაქმდებიან; სასურველია, უსდ-მ სტუდენტებს შესთავაზოს პროფესიული პრაქტიკული კურსის არჩევითი საგანი(ები), რომლის მიზანი იქნება, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში, გამოიმუშაონ პროფესიული ეთიკის უმთავრესი უნარ-ჩვევები. შესაძლებელია სამომავლოდ, პრაქტიკული კურსის ფარგლებში, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, შეიქმნას იურიდიული კლინიკა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები, უფასო იურიდიულ კონსულტაციას გუწევენ მოქალაქეებს და სასამართლო დავებში, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით მიიღებენ მონაწილეობას. სწავლის პარალელურად იარსებებს შესაძლებლობა, სამართლის საბაკალავრო პროგრამის იურიდიული კლინიკის ფარგლებში, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ნამდვილი საქმეების განხილვასა და გაძღოლაში, მათ შორის მოამზადონ და წარმართონ სასამართლო პროცესები ხელმძღვანელი პირის მეშვეობით;

- ✓ იმისთვის, რომ სტუდენტმა სრულფასოვნად შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ცოდნის მიღება, აგრეთვე უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სასურველია მომავალში ინგლისურენოვანი საგნების პროგრამაში ინტეგრირება მოხდეს. ამასთან, გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად იყოს უზრუნველყოფილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ყველა დარგის მიმართულებით. სასურველია აღნიშნული კომპონენტის გასააქტიურებლად უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით კოლეჯმა პირველ ეტაპზე, სტუდენტებს არჩევითი საგნების კომპონენტში უნდა შესთავაზოს, ინგლისურენოვანი საგნები და პარალელურად გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო თუ ადგილოვრივი დონორების და კვლევითი ფონდების შესახებ, გაუწიოს კონსულტაცია აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში. ასევე, უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტის მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს.

- ✓ რაკიღა პროგრამას აქვს უნიკალური ენობრივი დამატებითი პროგრამული მხარდაჭერის შესაძლებლობა, მიზანშეწონილია ყველა მსგავსი საჭიროების სტუდენტისთვის უზრუნველყოს მსგავსი სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა.

- ✓ კოლეჯს უნდა მიეცეს რჩევა, გაზარდოს აკადემიური პერსონალი და შეამციროს მოწვეულ ლექტორთა რაოდენობა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საჯარო სამართლის მიმართულებით ლექტორთა დატვირთვას. სასურველია კოლეჯმა

იზრუნოს შესაბამისი აკადემიური მდგრადი რესურსის გაზრდაზე და სულ მცირე გაათანაბროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

- ✓ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული აქცენტის გათვალისწინებით, სასურველია უსდ-მ განიხილოს და განახორციელოს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური შეფასების შესაძლებლობები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- პრაქტიკული კომპონენტის საუკეთესო ვერსიები ე.წ. „live-client" კლინიკებია, თუმცა მათი არსებობა, ზოგადად ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზეა დამოკიდებული, ისევე როგორც სხვა დამატებით ფაქტორებზე (მაგ. სტუდენტებს შორის არსებული რესურსი), შესაბამისად „რეალური კლიენტის" მომსახურე საუნივერსიტეტო კლინიკები ვერ იქნება სავალდებულო მოთხოვნა ან რჩევა „ნიუ უნივერსითისთვის" პროგრამის განვითარების ამ ეტაპზე, რადგან შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერის და პერსონალის არსებობის პირობებშიც, არსებულ სტუდენტთა კონტიგენტს გაუჭირდება ასეთი ტიპის პრაქტიკული კომპონენტის ჯეროვნად, ხარისხიანად შესრულება. საუკეთესო პრაქტიკაზე რეფერირების მიზანია ხაზი გაუსვას მომავალი განვითარების პერსპექტივებს კოლეჯის სასწავლო უნივერსიტეტად გარდაქმნის შემთხვევაში. აგრეთვე მიუთითოს საუკეთესო პრაქტიკაზე, თუკი „ნიუ უნივერსითი" გადაწყვეტს ე.წ. „ბიზნეს ლაბის" განვითარებას. რომლის მონახაზზეც, ადმინისტრაციის თანახმად, ამჟამად მუშაობს.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- გადაიხედა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის მიზნები და შემუშავდა ხარისხის პოლიტიკა;
- გაძლიერდა ინგლისურენოვანი კომპონენტი
- გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს „ნიუ უნივერსითი“ შეიქმნა ორი კერძო სამართლის იურიდიული პირის გაერთიანების, შერწყმის შედეგად. ამჟამად მას აქვს საბაკალავრო კოლეჯის სახე, თუმცა უსდ-ს ადმინისტრაცია მოწოდებულია კოლეჯის ფუნქციონირებისთვის საჭირო წინაპირობები დააკმაყოფილოს. შპს ნიუ უნივერსითი მისი წინამორბედის - „განათლების აკადემიის“ სამართალმემკვიდრეა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცის თვალსაზრისით, რომელსაც აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 19 ნოემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 206 გადაწყვეტილებით. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ (2014 წლიდან დღემდე) სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შევიდა რიგი ცვლილებები, კერძოდ პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ჩამოყალიბდა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით; აგრეთვე, სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტდა შეფასების ფორმები და კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები და სწავლა/სწავლების მეთოდები. ცვლილებების განხორციელება ემყარებოდა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობას. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის მოდიფიცირების პროცესში აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის სპეციალისტები, ასევე დამსაქმებლები. შედარებით ნაკლებად - სტუდენტები. შენიშვნა: პროგრამაში განხორციელებული დეტალური ცვლილებებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მონიტორინგის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შესაბამისი (მე-2, მე-5) სტანდარტებით გათვალისწინებული კომპონენტების აღწერაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ეხმიანება ნიუ უნივერსითისა და სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისიას და სტრატეგიას და ჩამოყალიბებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. ინტერვიურების დროს ექპერტებმა გამოითხოვეს შრომის ბაზრის ანალიზი, თუმცა ვერ მოხერხდა მისი მოწოდება, შესაბამისაად, გაგვიჭირდება იმის მტკიცება, რომ პროგრამა ნამდვილად ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს, თუმცა თავად პროგრამის და ამ მიმართულებით ჯგუფში შემავალ ექსპერტთა გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ძირითადად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 5 მიზნის გარშემოა აგებული. ის ორიენტირებულია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის არსის, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში;
- გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, მათ შორის, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების, ასევე იურიდიული ხასიათის დოკუმენტებზე მუშაობის უნარი;
- გამოუმუშავოს მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტისთეზისისგანვითარების,შერჩეულიმიდგომისდასაბუთებისდაშესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშავოს მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლოცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიებისა და განახლებული ცოდნის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი დ აწერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას პროფესიული ეთიკისა ნორმების დაცვითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებითმოქმედების უნარი.

პროგრამის მიზნები თანხვედრილია უსდ-ს მისიასთან და სტრატეგიული განვითარების დოკუმენტთან. მიზნები ჯეროვნად, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ლოგიკურია და ასეთივე ჯაჭვს ქმნის შესრულების ინდიკატორებთან. პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან (სულ 7 შედეგი). მათი კორელაცია პროგრამაში ნათლად არის ნაჩვენები. პროგრამა იმგვარად არის კონსტრუირებული, რომ მისი ჯეროვანი რეალიზაციის შემთხვევაში პროგრამის მიზნების განხორციელება გამოწვევას არ წარმოადგენს. სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია, რაც გასაუმჯობესელ მხარეშია მითითებული. პროგრამის მიზნები მიღწევადია, მისი თანმიმდევრული და სრულყოფილი განხორციელებისთვის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ერთობლივი ძალისხმევის და ჩართულობით, შესრულების ინდიკატორების ზედმიწევნითი აღქმის და შესრულების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- კოლეჯის განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- მემორანდუმები;
- ნიუ უნივერსითის დებულება: https://bit.ly/2FL5ryA
- ნიუ უნივერსითის მისია: http://nu.edu.ge/?page_id=2247
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ვასკვნით, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია მხოლოდ **შვიდი ძალიან მნიშვნელოვანი სწავლის შედეგი,** რომლებიც სტუდენტის მიღწევებზე მიემართება. სწავლის **შედეგები მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.** თითოეულ ნაწილში სტუდენტის მიღწევები ბლოკებად არის ორგანიზებული. **პროგრამით დეკლარირებული შედეგები კონკრეტული და გაზომვადია პროგრამის თანმიმდევრული, ზედმიწევნითი და ჯეროვანი განხორციელების შემთხვევაში ისინი სავსებით მიღწევადია.**

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების (A) – (12 ECTS), ინგლისური ენის/უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტის (B) –(29 ECTS), სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების (C) –(18 ECTS, აქედან 12 სავალდებულო), საჯარო სამართლის მოდულის (D) – (51 ECTS), კერძო სამართლის მოდულის (E) –(57 ECTS), სისხლის სამართლის მოდულისა(F) –(31 ECTS) და თავისუფალი კომპონენტისაგან (G) –(6ECTS). კრედიტების საჭირო რაოდენობის დაგროვების შედეგად (240 ECTS) კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენასა თუ მის რევიზია-კორექტირებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.

უსდ-ს ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგების ანალიზის თანახმად, (კვლევის შეზღუდვებისა და დეტალებისთვის იხ. სტანდარტი 5.1; 5.3),, პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებს შორის გამოვლინდა სასწავლო კურსის სწავლების ფორმები და მეთოდები, ასევე შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების ცვლილების საჭიროება. ინტერვიუების გზით ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელობამ და ადმინისტრაციამ ასევე გამოწვევად მიიჩნია სტუდენტთა ენობრივი კომპეტენცია და პრაქტიკული კომპონენტის გაზრდის აუცილებლობა. აღნიშნული გამოწვევების კვალდაკვალ, პროგრამაში გაძლიერდა ინგლისურენოვანი კომპონენტი. განახლებულ პროგრამაში 29 კრედიტი დათმობილი აქვს ინგლისურ ენას და ის ითვალისწინებს იურიდიული ენის კურსს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ასევე დაემატა 11 არჩევითი სასწავლო კურსი: სასჯელის შეფარდება (6 ECTS); ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (6 ECTS); არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (6 ECTS); ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (6 ECTS); სანოტარო სამართალი (6 ECTS); ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში (6 ECTS); საპოლიციო სამართალი (6 ECTS); სამოხელეო სამართალი (6 ECTS); საკანონმდებლო ტექნიკა (6 ECTS); საგადასახადო სამართალი (6 ECTS); სააღსრულებო სამართალი (6 ECTS).

სასწავლო კურსი - „იმიტირებული სასამართლო პროცესი“ მოდერნიზირებული იქნა 3 სავალდებულო სასწავლო კურსად: საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი (6 ECTS); კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი (6 ECTS); სისხლის სამართლის პრაქტიკული

კურსი (6 ECTS).

სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით, შეიცვალა 11 სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები. სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულ სასწავლო კურსების სილაბუსებებით გათვალისწინებულ შეფასების მეთოდებს დაემატა „პრაქტიკული დავალება“ და განისაზღვრა შესასრულებული პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები. პროგრამული ცვლილების შედეგად სილაბუსებში ამჟამად ჩაშენებულია პრაქტიკული ნაწილი და მოცემულია შეფასების კრიტერიუმების დეტალური განხილვა.

განახლებული პროგრამის სწავლის შედეგები, რეგულირებადი პროფესიის სპეციფიკას ასახავს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა საკვალიფიკაციო ჩარჩოთი აღწერილი საბაკალავრო სწავლების საფეხურის შესატყვისია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თითოეული სწავლის შედეგი შესაბამისი მოდულისა და კომპონენტების სასწავლო კურსების შედეგებს მოიცავს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება სწავლის შედეგებს. კურსების შინაარსი და სპეციფიკა განსაზღვრავს სტუდენტისათვის აუცილებელი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენას და ეხმიანება პროგრამის მიზნებს. გამართულადაა წარმოდგენილი საგანზე დასაშვებობის წინაპირობებიც, რაც საბოლოო შედეგის მიღწევის აუცილებელი კრიტერიუმია. (მაგალითად, სახელშეკრულებო სამართალზე დასაშვებობის წინაპირობად განსაზღვრულია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი). სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სწავლების შედეგებს შეესაბამება ასევე თითეული საგნის დატვირთვა, რომელიც გამოიხატება კრედიტების სისტემაში (ECTS), სადაც 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. სწავლის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა იშვიათი გამონაკლისების გამოკლებით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; (იხ. სტანდარტი 2). კურსის შეფასებაში გამოყენებული შეფასების სისტემა თანხვედრილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან.

უსდ-ს ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, (კვლევის შეზღუდვებისა და დეტალებისთვის იხ. სტანდარტი 5.1; 5.3), გამოკითხულ სტუდენტთა 97% ფიქრობს, რომ პროგრამის შედეგების მისაღწევად ლექტორის არსენალში არსებული და დემონსტრირებული სწავლის მეთოდები ადეკვატურია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

კვლევის შედეგების ექსტრაპოლირების შეუძლებლობის გათვალისწინებით, მაინც აღსანიშნავია, რომ სამართლის პროგრამაზე გამოკითხულ სტუდენტთა 72.7% (სრული მასის დაახლოებით 25% = საშუალოდ 74 სტუდენტი) დასაქმებულია; სტუდენტების 45.5%-ის ამჟამინდელი საქმიანობა შესაბამისობაშია მისი პროგრამის კვალიფიკაციასთან, 24,2%-ის მეტ-ნაკლებ შესაბამისობაში, ხოლო 3% ამბობს, რომ არ არის შესაბამისობაში. ექსპერტთა ჯგუფისთვის შეუძლებელია იმსჯელოს სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების მაჩვენებელთან მიმართებით, რადგან მოცემული მომენტისთვის უსდ-ს ასეთი მაჩვენებელი არ აქვს მითითებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (კითხვარები, შედეგების ანალიზი)
- აკრედიტაციის ვიზიტისას გჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის	X			

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და კოლეჯი მიერ დადგენილი წესების დაცვით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის დროს ექპერტთა ყურადღება მიიქცია უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელმა. ბოლო 5 წლის მონაცემების შესაბამისად, პროგრამაზე **ჩარიცხულ პირთა რაოდენობაა: 11-69-79-59-82, ხოლო ჩარიცხულ უცხოელ პირთა რაოდენობა 11-57-64-57-52.** ქტიურ სტუდენტთა სიაში პრაქტიკულად არ ვხვდებით უცხოელ სტუდენტთა მონაცემებს. გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტებს სტატუსი შეჩერებული აქვთ.

გასაუბრების დროს გამოირკვა რომ ბოლო 4 წლის ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობამ ისარგებლა მობილობით სხვადასხვა მიზეზებით. კოლეჯის გადაწყვეტილებით შემუშავებული იქნა 60 კრედიტიანი პროგრამა სადაც არაქართულენოვანი სტუდენტები ეუფლებიან ქართულს. პროგრამა დაასრულა 50 სტუდენტმა და კოლეჯი ელოდება გადაწყვეტილებას მათი ჩარიცხვის თაობაზე. გასაუბრების შედეგად გამოირკვა რომ ენის ფლობა იყო ბარიერი სამართლის საბაკალავრო პროგრამის დაძლევის თვალსაზრისით. შესაბამისად შეთავაზებული იქნა ენის დაუფლების დამატებითი საშუალება. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კოლეჯი ჯერ ვერ დაადასტურებს 60 კრედიტიანი პროგრამა რამდენად არის საკმარისი რათა სტუდენტმა დასძლიოს სამართლის საბაკალავრო პროგრამა. შესაძლებელია იგივე შედეგი მივიღოთ და განხორციელდეს მობილობა. ვინაიდან, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო უცხოელი სტუდენტების/კურსდამთავრებულების ინტერვიურებაზე შეთანხმება, ვიზიტის მიმდინარეობის დროს ექპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა სატელეფონო ზარის შედეგად დაგვედგინა ენის ფლობის საკითხი. ჯგუფი ცდილობდა კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციას. სამწუხაროდ არ მოხერხდა მათთან კომუნიკაცია (იმ პირებთან, რომლის საკონტაქტო ინფორმაციაც მოგვაწოდა დაწესებულებამ) და ვერ დავადგინეთ ენის ფლობის საკითხი. კოლეჯის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითვის ანალიზის შედეგად გამოვლინდა გასაუმჯობესებელი მხარე როგორიცაა: *„აზერბაიჯანულ და ქართულ ჯგუფებს გავყოფდი რომ მათვისაც უფრო ეფექტური იყოს და ჩვენთვისაც“.* გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს რომ ეს საკითხი არის გამოწვევა. (იხ. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, 2019 წ.) საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია ნიუ უნივერსითის ვებ გვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს. მითითებულა საკონტაქტო ინფორმაცია. კონსულტაცია შესაძლებელია როგორც სატელეფონო ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • ნიუ უნივერსითის დებულება https://bit.ly/2FL5ryA; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • თვითშეფასება; • კოლეჯის ვებ-გვერდი; • ინტერვიუირება.
რეკომენდაციები: **მიზანშეწონილია განისაზღვროს უცხოელ პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი პირობები, რათა მიღწევადი იყოს მათ მიერ ქართულენოვანი სამართლის**

საბაკალავრო პროგრამის დაძლევა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **ეფექტურობისთვის სასურველია კოლეჯმა შეიმუშაოს პოლიტიკა და სტუდენტებს შესთავაზოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამის დაძლევა.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე ზრუნვა იწყება მათი ინიცირებისა და შემუშავების ფაზაზე, რომელიც გრძელდება უწყვეტი PDCA ციკლით - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გაუმჯობესება. უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების წესი და პროცედურები, პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის სარეკომენდაციო ფორმა. ხარისხის კულტურის გაზრდისა და საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი ხარისხის, ასევე მათი შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის შემუშავებაში ჩართულია კურიკულუმის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი ჯგუფი, ყველა დაინტერესებული

პირის მონაწილეობით.

კურიკულუმის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების შედეგებსა და მასში წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაზე/სტრატეგიაზე დაყრდნობით.

შემდეგ საფეხურს წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, შემდგომ კი უწყვეტი ციკლი იწყება თავიდან, კვლევების/შედეგების ანალიზით, რომელიც აფასებს განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სამართლის" აკრედიტაციისათვის მოსამზადებლად შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი. თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეირჩა კურიკულუმის კომიტეტის ინიცირებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი და უცხოელი გარე შემფასებლების რეკომენდაციები და უცხოური გამოცდილება. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის საბაკალავრო პროგრამები. მათ შორის: University of Bern https://www.unibe.ch/studies/programs/bachelor/programs/index_eng.html, IE University https://www.ie.edu/university/studies/academic-programs/bachelor-laws/courses/, University of Belgrade [http://www.ius.bg.ac.rs/eng/degree_programs.htm] .

პროგრამებში ცვლილებების განხორციელება შეიძლება მოხდეს პროგრამის თვითშეფასებისგან დამოუკიდებლად, შიდა ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით (სისტემური თუ საჭიროებებზე დაფუძნებული), მაგ: შრომის ბაზრის ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, მათი პროგრესიისა თუ განთესვის მაჩვენებელი, მობილობის მაჩვენებელი და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის მოდიფიცირების პროცესში აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის სპეციალისტები, ასევე დამსაქმებლები.

თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის მოხდა კონკრეტული დავალებების გადანაწილება. თითოეული მათგანი უწევდა კოორდინირებას თითოეული საკითხის დამუშავებას, ინფორმაციის მოძიებას და ანალიზის პროცესს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. მათ მიერ დამუშავებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და სათანადო ფორმით აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში ასახვა უზრუნველყო პროგრამის ხელმძღვანელმა. თვითშეფასების ანგარიშის და მისი თანდართული დოკუმენტების მომზადების საკითხში, მას ასევე კონსულტაციას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამუშაო რომელიც იქნა გაწეული:

- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- სტუდენტთა, კურსდამთარებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური/მოწვეული ლექტორების გამოკითვა;
- პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდის შემუშავება;
- შეფასების მეთოდების განსაზღრა;

- ადამიანური რესურების საჭიროების განსაზღრა;
- სილაბუსებში ლიტერატურის განახლება;

ინტერვიურების დროს ექპერტთა მხრიდან იქნა გამოთხოვნილი შრომის ბაზრის ანალიზი თუმცა ვერ მოხერხდა მისი მოწოდება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.

პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება:

- **არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების** (A). სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 12 კრედიტი.
- **ინგლისური ენის/უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტის (B).** ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

  ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 29 კრედიტის მოცულობით. ბოლო სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან სპეციალობისათვის რელევანტურ ინგლისურ ენას.
- **სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების (C),** სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო მეშვეობით სტუდენტი შეიძენს ფართო თეორიულ ცოდნას. სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს დარგობრივი დისციპლინების დაუფლებისათვის სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყის უნარებს, ასევე ძველი ქართული სამართლის წყაროების მოძიების, მათზე მუშაობის, საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის და დასაბუთების უნარს.

  სპეციალობის საბაზისო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა

დააგროვოს 18 კრედიტი, მათ შორის 12 კრედიტი სავალდებულო

- **საჯარო სამართლის მოდულის (D).** საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 51 კრედიტი.

- **კერძო სამართლის მოდულის (E)** კერძო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 57 კრედიტი.

- **სისხლის სამართლის მოდულისა (F)** სისხლის სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 31კრედიტი.

- **თავისუფალი კომპონენტისაგან (G**). სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს საჯარო სამართლის, სისხლის სამართლისა და კერძო სამართლის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, კოლეჯის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, მაგრამ არა უმეტეს 6 კრედიტისა.

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა იყოს პრორამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

სტუდენტთა გამოკითვის შედეგად კითხვაზე გამჭვირვალე და სამართლიანია თუ არა პროგრამის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსების/კომპონენტების არჩევის წესი და პროცედურა- 6.1%- თვლის, რომ ნაწილობრივ გამჭვირვალე და სამართლიანია, ხოლო 93.9% - ის აზრით სასწავლო კურსების/კომპონენტების არჩევის წესი, სრულიად გამჭვირვალე და სამართლიანია.

კრედიტების საჭირო რაოდენობის დაგროვების შედეგად კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოში საბაკალავრო სწავლების საფეხურისთვის წარმოდგენილ აღწერას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსები:

1. სასჯელის შეფარდება (6 ECTS);
2. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (6 ECTS);
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (6 ECTS);

4. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (6 ECTS);

5. სანოტარო სამართალი (6 ECTS);

6. ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში (6 ECTS);

7. საპოლიციო სამართალი (6 ECTS);

8. სამოხელეო სამართალი (6 ECTS);

9. საკანონმდებლო ტექნიკა (6 ECTS);

10. საგადასახადო სამართალი (6 ECTS);

11. სააღსრულებო სამართალი (6 ECTS).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი - „იმიტირებული სასამართლო პროცესი“ მოდერნიზირებული იქნა სავალდებულო სასწავლო კურსებად:

12. საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი (6 ECTS);

13. კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი (6 ECTS);

14. სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი (6 ECTS).

სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით, შეიცვალა სასწავლო კურსების „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართალი“, „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „სახელშეკრულებო სამართალი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი -1“, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „შრომის სამართალი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი -2“-ის შეფასების მეთოდები. სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულ სასწავლო კურსების სილაბუსებებით გათვალისწინებულ შეფასების მეთოდებს დაემატა „პრაქტიკული დავალება“ და განისაზღვრა შესასრულებული პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები.

სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია, რაც გასაუმჯობესელ მხარეშია მითითებული. პროგრამაში გაძლიერდა ინგლისურენოვანი კომპონენტი. 29 კრედიტი დათმობილი აქვს ინგლისურ ენას და ითვალისწინებს იურიდიული ენის კურსს. თუმცა ეს არის არის საკმარისი. სასურველია კოლეჯმა მომავალში იფიქროს ახალი ინგლისურენვანი სასწავლო კურსების დამატებაზე. შესაძლებელია იურიდიული ინგლისურის (Legal English) საგანს ინგლისური ენის მაღალ დონეზე მცოდნე (სულ მცირე C1) პროფესიით იურისტი გაუძღვეს. ინტერვიურების დროს განხილული იქნა ინტერნაციონალიზაციის საკითხი და გამოირკვა რომ სამომავლოდ იგეგმება ინგლისურენვანი საგნების დამატების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა გააქტიურებას გაცვლითი პროგრამით სარგებლობის ნაწილში.

აქედან გამომდინარე დღეის მდგომარეობით ინგლისური ენის ცოდნა არის ბარიერი სასწავლო კურსებში უცხოენოვანი ლიტერატურის მითითებისა და პროგრამაში ინგლისურენოვანის საგნების დამატების მიმართულებით.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, პროგრამას დაემატა პრაქტიკული კომპონენტი საჯარო, კერძო და სისხლის მიმართულებით, სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული ნაწილი, თუმცა ეფექტური იქნება თუ კოლეჯი სტუდენტებს შესთავაზებს პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას პარტნიორ ორგანიზაციებში. რაც მას მისცემს საშუალებას მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკით განამტკიცოს. სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისუფალი კრედიტი. ეს კი საშუალებას აძლევს ინტერესის გათვალისწინებით გაიაროს მომიჯნავე მიმართულების საგნები. პროგრამა და პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე. შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია; • -პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები. • ნიუ უნივერსითის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • **მიზანშეწონილია კოლეჯმა გადადგას ნაბიჯები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც შესაძლებელს გახდის უცხოენოვანი ლიტერატურის მითითება, პროგრამაში ინგლისურენოვანის საგნების დამატება, სტუდენტთა გააქტიურებას გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.** • **შესაძლებელია იურიდიული ინგლისურის საგანს ინგლისური ენის მაღალ დონეზე მცოდნე (სულ მცირე C1) პროფესიით იურისტი გაუძღვეს.** • **ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია პროგრამზე განხორციელდეს პარტნიორი დაწესებულებიდან ლექტორთა მოწვევა, ერთობლივი კვლევითი პროექტები, სტუდენტთა მოტივირება რომ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით.** • **მიზანშეწონილია საერთაშორისო სამართლის მოდული საჯარო სამართლის მოდულს გამოეყოს და ცალკე ჩამოყალიბდეს.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის 6 სწავლის შედეგს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის სტატუსი, სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, სასწავლო კურსის კოდი, კრედიტების რაოდენობა, საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, კურსის განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია,სასწავლო კურსის მიზანი, დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო მასალა, სწავლის შედეგები. სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სწავლების შედეგებს შეესაბამება ასევე თითეული საგნის დატვირთვა, რომელიც გამოიხატება კრედიტების სისტემაში (ECTS), სადაც 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. აღნიშნული საათები მოიცავს როგორც საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვ.) ასევე არასაკონტაქტო (დამოუკიდებელი სამუშაო) დროს. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად დაისვა საკითხი თუ რამდენად ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები სასწავლო კურსებში, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა - 97% აფიქსირებს დადებით პასუხს - „დიახ ნათლადაა“, ხოლო დარჩენილი 3% ფიქრობს რომ მეტ-ნაკლებად მკაფიოდა და

გასაგებადაა ჩამოყალიბებული. წინა კითხვის ანალოგიურად სტუდენტები მკვეთრად ნეგატიურ პასუხ არ აფიქსირებენ დასმულ შეკითხვაზე.

თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების და წლების მიხედვით, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა- სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა ზოგიერთი პრობლემური როგორიცაა:

0. დაემატოს ახალი სასწავლო კურსი პროგრამას
1. შეიცვალოს სასწავლო კურსის სწავლების ფორმები და მეთოდები, შეიცვალოს სასწავლო კურსის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები
2. გაერთიანდეს ან გაიყოს სასწავლო კურსი
3. შეიცვალოს სასწავლო კურსის შინაარსი, შეიცვალოს სასწავლო კურსის ძირითადი საგანმანათლებლო ლიტერატურა
4. შეიცვალოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა

განხორციელებულ გამოკითხვებში გამოყენებული კითხვარები, რომლებიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეაფასონ საგნის დატვირთვა (საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები), გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა, შეფასების ფორმები და საგანთან დაკავშირებული სხვა ასპექტები.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მოწმობს, ცალკეული კურსის სწავლების ხარისხი მოითხოვს გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოდერნიზაციას. გამოკითხვის შედეგების ანალიზით მიღებული დასკვნები, შესაბამისი ინფორმაცია მათზე რეაგირების და გამოყენების მიზნით მიეწოდება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას. აღნიშნულის შემდეგ ხდება ცვლილებების შეტანა კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსში, სასწავლო ლიტერატურაში და ა.შ.

<u>ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება სწავლის შედეგებს</u>. ამ მხრივ გამართულადაა წარმოდგენილი საგანზე დასაშვებობის წინაპირობა, რაც თავის თავში საბოლოო შედეგის მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს. მაგალითად, სახელშეკრულებო სამართალზე დასაშვებობის წინაპირობად განსაზღვრულია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი.

ამ მხრივ გამოსაყოფია პრაქტიკული კურსის განსხვავებულად და თანამედროვედ შეთავაზება სტუდენტთათვის. პრობლემა, რომელიც ხშირად უმაღლეს სასწავლებლებში დგას, საინტერესოდ იქნა აღმოფხვრილი უსდ-ს მიერ. კერძოდ, მათ როგორც კერძო, ისე საჯარო თუ სისხლის სამართლის მიმართულებით წარმოდგენილი აქვთ სავალდებულო პრაქტიკული კურსი. ეს კი ნიშნავს, რომ სტუდენტს, რომელიც დაასრულებს უმაღლეს სასწავლებელზე, ბაკალავრიატზე სწავლებას, შესაძლებლობა ექნება, პრაქტიკული გააზრება (არანაკლებ საფუძვლის დონეზე) ჰქონდეს იმისა, თუ რა სახით უნდა გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში. ასეთი მიდგომა აბსოლუტურად შეესაბამება სწავლის შედეგებს.

<u>სწავლის შედეგებთან შესაბამისობაშია მოსული ასევე სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა</u>. საილუსტრაციოდ გადმოდგება სამოქალაქო სამართლის პროცესის სილაბუსი, რომელიც ორ სემესტრზეა გადანაწილებული და რომელში

მოცემული სასწავლო საკითხების შინაარსი სტუდენტისთვის მისანიჭებელი კრედიტების ეკვივალენტურია.

<u>სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება შესაბამისი სფეროს აქტუალურ მიღწევებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსში მითითებული ლიტერატურა ტოვებს მეტის არსებობის სურვილს.</u> ვიზიტისას მკაფიოდ გამახვილდა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ თითოეული სილაბუსი იქმნებოდა ინდივიდუალურად ლექტორის მიერ და ამ მხრივ მათ აკადემიური თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. აღნიშნული საკითხი ლექტორებთან (პროფესორებთან) გასაუბრების დროსაც იქნა გამოყოფილი. თავისუფლების ამგვარი რეალიზაცია დადებითად უნდა იქნეს აღქმული, თუმცა რჩევის სახით იქნებოდა მნიშვნელოვანი განემარტოს უსდ-ს, რომ აკადემიურ პერსონალთან დააყენოს საკითხი, უახლესი ლიტერატურისა თუ სასამართლო პრაქტიკის სილაბუსში მითითების თაობაზე.

მაგალითად, შრომის სამართლის შემთხვევაში მითითება არის რამდენიმე ნაშრომზე (რომელიც მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის მქონეა), თუმცა სასურველი იქნებოდა, ასევე მითითება ყოფილიყო ისეთ ლიტერატურაზე, რომელიც შედარებით ახალი გამოცემაა და უფრო დეტალურად ასახავს პრაქტიკას (ამ შემთხვევაში იგულისხმება შემდეგი ნაშრომი: **„საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები“, ავტორები: ზაქარია შველიძე, ქსავიერ ბოდონე, თეიმურაზ თოდრია, თამარ ხაჟომია, ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი, 2017**.

სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს დახვეწას, კერძოდ: სასწავლო კურსი - “შრომის სამართალი”, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად პასუხობს წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსს, თუმცა, სილაბუსში არ არის მითითებული, საკმაოდ მნიშვნელოვანი და დარგისთვის ფუნდამენტური - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელო - საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები (2017), სასურველია, შრომის სამართლის სილაბუსი მოდიფიცირებულ იქნეს და დაემატოს აღნიშული სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს;
ასევე, საგანში: “სანივთო (ქონებრივი) სამართალი” ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია - თამარ ზარანდია, სანივთო სამართლის საფუძვლები, თბ., 2016. აღსანიშნავია, ავტორის მიერ, 2019 წელს გამოიცა, ამავე სახელმძღვანელოს მეორე, შევსებული რედაქცია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ სილაბუსის განახლების მიზნით მოხდეს ჩანაცვლება.

ცალკე განხილვის თემაა სასამართლო პრაქტიკის მითითება. როგორც გასაუბრებიდან იქნა გამოტანილი დასკვნა, თითოეული ლექტორი პრაქტიკულ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა სილაბუსში არ უთითებს მას. ამ მხრივ რჩევის სახით შეიძლება განიმარტოს, რომ უმჯობესი (სასურველი) იქნებოდა, თუ უსდ-ს ლექტორები (აკადემიური თავისუფლების ფარგლებში) თავიანთ სილაბუსებში მიუთითებდნენ უახლეს სასამართლო პრაქტიკას და საგნის სწავლისას სასამართლოს უახლეს პრაქტიკაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

<u>სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას,</u> ვინაიდან თითოეულ შემთხვევაში გვხვდება ისეთი სახით ლიტერატურა, რომელიც საკითხზეა ორიენტირებული და სტუდენტს კანონის (პრინციპის და ა.შ.) გააზრებაში დაეხმარება. სასურველია მხოლოდ ის, რაზეც მასალასთან დაკავშირებით გამახვილდა ყურადღება ამავე ასპექტში მსჯელობისას (პრაქტიკა და

ცალკეული მასალა).

კურსის შეფასებაში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გამოიყენება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე პრეზენტაციები, იმიტირებული პროცესები, ქვიზები (წერითი, ზეპირი) ა.შ სახელმძღვანელოებთან ერთად, სტუდენტები ეცნობიან შესაბამის ნორმატიულ მასალას და სასამართლო გადაწყვეტილებებს. აღნიშნული შესაბამისობაშია მინისტრის N3 ბრძანებასთან.

პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსები არა მხოლოდ სრულად შეესაბამება პროგრამის შედეგებს, არამედ, სწორედ აღნიშნული სასწავლო კურსებით ხდება შესაძლებელი პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების რეალიზება.

- სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები სასწავლო კურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

- **რეკომენდაციები:**

სასწავლო კურსი შრომის სამართალი, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად პასუხობს წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსს, თუმცა, სილაბუსში არ არის მითითებული, საკმაოდ მნიშვნელოვანი და დარგისთვის ფუნდამენტური - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძრვანელო - საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები (2017), სასურველია, შრომის სამართლის სილაბუსი მოდიფიცირებულ იქნეს და დაემატოს აღნიშული სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს;

საგანში - " სანივთო (ქონებრივი) სამართალი " ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია - თამარ ზარანდია, სანივთო სამართლის საფუძვლები, თბ., 2016. აღსანიშნავია, ავტორის მიერ, 2019 წელს გამოიცა, ამავე სახელმძღვანელოს მეორე, შევსებული რედაქცია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ სილაბუსის განახლების მიზნით მოხდეს ჩანაცვლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკაზე. 2.3 სტანდარტის განხილვისას აღინიშნა ის დადებითი მხარე, რაც პრაქტიკული კურსის დიფერენციაციას ეხება კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის კომპონენტების გათვალისწინებით.

ვიზიტისას გასაუბრებაზე აკადემიური პერსონალის მიერ დადასტურდა ის, რომ შესაბამისი ეტაპობრიობის გათვალისწინებით, ისინი ***<u>ხელს უწყობენ სტუდენტს, მიიღოს პრაქტიკული ცოდნა პასიურიდან აქტიურ ჩართულობამდე.</u>*** პირველ შეთხვევაში ეს ხდება უშუალოდ კურსის გავლისას შესაბამისი საგნის მიმართულებით არსებული პრაქტიკის გააზრებით. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის პროცესის გამოყოფაა ამ მხრივ შესაძლებელი, სადაც შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად იმიტირებული სასამართლო პროცესია მითითებული. შემდგომ კურსებზე სტუდენტი ვალდებულია, მიღებული ცოდნა გამოიყენოს საჯარო სამართლის მიმართულებით არსებული პრაქტიკული კურსის გავლისას.

- სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა 2019 წ. გამოკითხვის შედეგების თანახმად,საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოკითხულთა (35%) მხოლოდ მეხუთედზე ოდნავ მეტს, 21,2% გაუვლია პრაქტიკა პროგრამის ფარგლებში. რაც სტუდენტების საერთი რიცხვის (290-მდე) პირობებში დაახლოებით 21 ადამიანის შეადგენს. კვლევის თანახმად ყველა, ვინც გაიარა პრაქტიკული კურსი, კმაყოფილია. რჩევის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკული კურსის ზოგიერთ შეფასებაში (მაგალითად, კერძო სამართლის მიმართულებით) არ გვხვდება პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობა, სადაც სტუდენტი უფრო დეტალურად შეძლებდა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზებას, ხოლო, ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ მოხდებოდა შესაბამისი შეფასება. სასურველია უსდ-მ ამ მხრივ პრაქტიკის მეტი შესაძლებლობები შექმნას სტუდენტებისთვის, რაც მათ ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის მეტ პერსპექტივას აჩვენებს, შესაძლოა მათ მოტივაციაზეც დადებითად აისახოს, აგრეთვე დაეხმარება

უნივერსიტეტს კონკურენტუნარიანი პროგრამის განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები ○ კურიკულუმი ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუირება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პრაქტიკული კურსის ზოგიერთ შეფასებაში (მაგალითად, კერძო სამართლის მიმართულებით) პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობა, სადაც სტუდენტი უფრო დეტალურად შეძლებდა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზებას, ხოლო, ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ მოხდებოდა შესაბამისი შეფასების წარმოდგენა უსდ-სთვის. აღნიშნული დაეხმარება უნივერსიტეტს კონკურენტუნარიანი პროგრამის განვითარებაში. • სასურველია, დაწესებულებამ სამომავლოდ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად პროგრამაში, სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული კომპონენტის შეთავაზება მოხდება; პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად დაეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ მათი სურვილისამებრ უფრო მარტივად დასაქმდებიან; სასურველია, უსდ-მ სტუდენტებს შესთავაზოს პროფესიული პრაქტიკული კურსის არჩევითი საგანი(ები), რომლის მიზანი იქნება, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში, გამოიმუშაონ პროფესიული ეთიკის უმთავრესი უნარ-ჩვევები. შესაძლებელია სამომავლოდ, პრაქტიკული კურსის ფარგლებში, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, შეიქმნას იურიდიული კლინიკა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები, უფასო იურიდიულ კონსულტაციას გუწევენ მოქალაქეებს და სასამართლო დავებში, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით მიიღებენ მონაწილეობას. სწავლის პარალელურად იარსებებს შესაძლებლობა, სამართლის საბაკალავრო პროგრამის იურიდიული კლინიკის ფარგლებში, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ნამდვილი საქმეების განხილვასა და გაძღოლაში, მათ შორის მოამზადონ და წარმართონ სასამართლო პროცესები ხელმძღვანელი პირის

მეშვეობით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ საუკეთესო პრაქტიკა ამ მხრივ ე.წ. „live-client" კლინიკებია, თუმცა მათი არსებობა ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზეა დამოკიდებული, ისევე როგორც სხვა დამატებით ფაქტორებზე, შესაბამისად „რეალური კლიენტის" მომსახურე საუნივერსიტეტო კლინიკები ვერ იქნება სავალდებულო მოთხოვნა პროგრამის განვითარების ამ ეტაპზე, შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერის და პერსონალის არსებობის პირობებშიც, რადგან პირველ რიგში გასაძლიერებელია არსებული სტუდენტთა კონტიგენტი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარს და უზრუნველყოფს პირველ რიგში - კურსით, ხოლო საბოლოო ჯამში - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების მიხედვით გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და

სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებისას გამოიყენება შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სხვა. საბაკალავრო პროგრამაში, პროგრამის სილაბუსებში არის მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალი, თუმცა იქვე არ არის დეტალურად განმარტებული თუ რას გულისხმობს ეს მეთოდები. სტუდენტთა გამოკითხვებში გამოყენებული კითხვარები, რომლებიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები და საგანთან დაკავშირებული სხვა ასპექტები. სტუდენტთა გამოკითხვის დროს დაისვა კითხვა: თუ რამდენად ადეკვატურად მიაჩნიათ პროგრამის შედეგების მისაღწევად სწავლის მეთოდები. 97% ფიქრობს, რომ სრულად ადეკვატურია სწავლების მეთოდები პროგრამის შედეგების მისაღწევად, 3%-ს კი მეტ-ნაკლებად ადეკვატურად მიაჩნია. ○ გასაუმჯობესებელ ნაწილში გამოვლინდა შემდეგი: შეიცვალოს სასწავლო კურსის სწავლების ფორმები და მეთოდები, შეიცვალოს სასწავლო კურსის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. პროგრამული ცვლილების შედეგად სილაბუსებში ჩაშენებულია პრაქტიკული ნაწილი, მოცემულია შეფასების კრიტერიუმების დეტალური განხილვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); • გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარები და გამოკითხვის ანგარიშები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ნიუ უნივერსითი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ; რაც თავის მხრივ განაპირობებს უკუკავშირს, ამ უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესი. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის, სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისია, რაც დასტურდება სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებით, სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით.
სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა განსაზღვრული, იკითხება აკადემიური პერსონალის ინდივიდუალიზმი, რაც მიუთითებს, რომ შეფასების ნაწილი მათ მიერ საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინდივიდუალურად არის შესწავლილი და დამუშავებული. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს, როგორც ზეპირი გამოკითხვის კომპონენტს, ასევე, დისკუსიის ფორმას, დებატებს, კაზუსის ამოხსნას, პრეზენტაციას. საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში გათვალისწინებული სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევას. წარმოდგენილი მეთოდებით,

სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა ფორმითა და რა კრიტერიუმებზე დაყრდონით მოხდება მათი შეფასება კონკრეტული აქტივობების გათვალისწინებით, საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ საგნებში. უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. კოლეჯი შეფასების შედეგებს აანალიზებს და ცდილობს მის გამოყენებას სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. ექსპერტთა ვიზიტისას, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა რიგი გარემოებები: სტუდენტები აღნიშნავენ, მათ მიმართ დაწესებულების ინდივიდუალურ მიდგომას. ისინი მათ ინტერესებზე მორგებულ სასწავლო გეგმას პოზიტიურ კონტექსტში განიხილავენ. რიგი სტუდენტების, სწორედ ამ გარემოებებით ხსნის მობილობით სარგებლობის (გადმოსვლის) შემთხვევებს. დაწესებულების სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების, განსაკუთრებით დამამთავრებელი კურსის სტუდენტების, ნაწილი, (დაახლოებით 1/4) დასაქმებულია. (იხ. სტანდარტი 5.1.) ხშირადა დასაქმებული სტუდენტები ვერ ახერხებენ ყველა ლექცია/სემინარზე დასწერებას. დაწესებულებაში აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში არსებობს პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დამოუკიდებლად, „ექსტერნად“ მოხდეს მათ მიერ გაცდენილი სასემინარო აქტივობის აღდგენა, იქნება ეს წერითი/ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, შუალედური/ფინალური გამოცდა თუ საშინაო დავალება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა აღდგენების პერიოდულობა და ამ საკითხისადმი დაწესებულების სისტემური მიდგომა.სტუდენტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანი და პოზიტიური მოვლენაა დაწესებულების მხრიდან მოქნილი და სტუდენტზე ორიენტირებული დამოკიდებულება, თუმცა, იმისთვის რომ სწავლის ხარისხი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს, პროგრამით გათვალისწინებული მიზნები შესრულდეს და სტუდენტები შეფასებისას თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ, აუცილებელია, გამონაკლისი წესით, სასემინარო აქტივობების „ექსტერნად“ ჩაბარების და ე.წ. სასემინარო აქტივობების „აღდგენისათვის“ ყველა საგნისთვის დამოუკიდებლად განისაზღვროს შესაბამისი ზღვარი, კონკრეტული საათების მაქიმალური რაოდენობის მითითებით. მნიშვნელოვანია მსგავსი წესები დეტალურად, სტუდენტებისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით განიმარტოს და მკაფიოდ გაიწეროს სასწავლო წესის მარეგულირებელ დოკუმენტებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; ○ უსდ-ს ბიუჯეტი; ○ მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან; ○ აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;

რეკომენდაციები: **სწავლის ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროგრამით გათვალისწინებული მიზნების ჯეროვანი შესრულების და სტუდენტების შეფასებისადმი მაქსიმალურად თანაბარი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია, გამონაკლისი წესით, სასემინარო აქტივობების „ექსტერნად“ ჩაბარების და ე.წ. სასემინარო აქტივობების „აღდგენისათვის“ ყველა საგნისთვის დამოუკიდებლად განისაზღვროს შესაბამისი ზღვარი, კონკრეტული საათების მაქიმალური რაოდენობის მითითებით. მნიშვნელოვანია აღნიშნული წესები დეტალურად და მკაფიოდ გაიწეროს სასწავლო წესის მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტებისათვის გასაგებად განიმარტოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში და უზრუნველყოფილი იყოს მათი სათანადო ხელმისაწვდომობა.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,				

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ნიუ უნივერსითი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით, ამომწურავად და ნათლად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის შესახებ, დეტალურად და გასაგებად არის აღწერილი. როგორც სტუდენტები ინტერვიუირების პროცესში აღნიშნავენ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის. სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარირეულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი საგანი. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში. **თუმცა ამ მხრივ არსებობს გარკვეული გამოწვევებიც,** (იხ. **სტანდარტი** 2.6.) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის - სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, რომლის

საშუალებითაც სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტოირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია, რომლის საწყის ეტაპზე, პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური ენის კურსები. თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, სავალდებულო საგნად არის შემოღებული პროფესიული ინგლისურის კურსი. სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიულია და ერთმანეთს განაპირობებენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები მეტწილად ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე. კოლეჯი მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; სალექციო ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ ლექციების ჩასატარებლად მათთვის სასურველი დრო. კოლეჯი ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათი დაფინანსების/თანადაფინანსების საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ტიპის აქტივობებში. სტუდენტები მონაწილეობენ საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. კოლეჯი მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს, და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს შიდა (საუნივერსიტეტო) გრანტები როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, სამეცნიერო კვლებითი პროექტების დასაფინანსებლად. კოლეჯი ჩართულია ერასმუსის პროგრამაში ასევე, პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობს, რომლის მეშვეობით, გაცვლითი აქტივობების ფარგლებში, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ღებულობენ მონაწილეობას. თუმცა არსებული ენობრივი ბარიერებიდან გამომდინარე, ერასმუსის პროგრამით სარგებლობა სტუდენტებისთვის მეტად შეზღუდულია. უსდ-ს ყავს უცხოელი

სტუდენტები, რომლებსაც დაწესებულება, ქართული ენის 1 წლიან კურსს სთავაზობს. აღნიშნული კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ, უცხოელი სტუდენტები კანონის შესაბამისად, ბრძანებით ჩაირიცხებიან სასწავლებელში. კოლეჯი ახორციელებს სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზს, რომელიც სამომავლოდ გამოიყენება დასახული სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას. კოლეჯი აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში. **შენიშვნა:** *ექსპერტთა ვიზიტის დროს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუირებისას, წარმოდგენილი იყო 8 სტუდენტი, აქედან, მხოლოდ 2 კურსდამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში ირიცხებიან უცხოელი სტუდენტები, როგორც მოქმედი ისე კურსდამთავრებული, არცერთი მათგანი გასაუბრებაზე არ იყო წარმოდგენილი. ექსპერტების მიერ განხორციელდა უცხოელი სტუდენტების შესახებ მონაცემების გამოთხოვა, მათთან სატელეფონო ფორმით დაკავშირების მიზნით, რათა დასკვნაზე მუშაობისას სრული ინფორმაცია გვქონოდა სტუდენტების როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ნაწილის მონაწილეობით. დაწესებულების მიერ მოწოდებული სიიდან, დაკავშირება მხოლოდ ერთ სტუდენტთან მოხერხდა. სასურველი გახლდათ, ექსპერტთა ვიზიტისას, თანაბრად ყოფილიყვნენ წარმოდგენილი ქართველი და უცხოელი სტუდენტები, რათა რიგი საკითხების, რომელიც დასკვნის სტანდარდების გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორია, სრული მოცულობით, თანაბრად განხილულიყო.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; • უსდ-ს ბიუჯეტი; • მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან; • აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,

დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: **მიზანშეწონილია, კოლეჯმა 3.1. აგრეთვე 2.6 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნებისთვის გადახედოს საკონსულტაციო საათების პოლიტიკას, რათა არსებულმა „აღდგენების“ პრაქტიკამ არაპროპორციულად არ იმოქმედოს ლექტორთა დატვირთვის ზრდაზე. კოლეჯმა უნდა შეიმუშავოს სისტემური ხედვა/სტრატეგია სტუდენტებზე ორიენტირებული გრაფიკისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციის გამოწვევების გათვალისწინებით.**
• **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :** **იმისათვის, რომ სტუდენტმა სრულფასოვნად შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ცოდნის მიღება, აგრეთვე უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სასურველია მომავალში ინგლისურენოვანი საგნების ინტეგრირება განხორციელდეს პროგრამაში. ამასთან, გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად იყოს უზრუნველყოფილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ყველა დარგის მიმართულებით. სასურველია, აღნიშნული კომპონენტის გასააქტიურებლად უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით კოლეჯმა პირველ ეტაპზე, სტუდენტებს არჩევითი საგნების კომპონენტში უნდა შესთავაზოს, ინგლისურენოვანი საგნები და პარალელურად გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო თუ ადგილოვრივი დონორების და კვლევითი ფონდების შესახებ, გაუწიოს კონსულტაცია აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში. ასევე, უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტის მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - **არ ფასდება**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან როგორც კოლეჯის აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები. კერძოდ, 16 აკადემიური პერსონალი და 21 მოწვეული ლექტორი. ლექტორთა უმეტესობა შერჩეულია პრაქტიკული ნიშნით, რაც გამოიხატება მათ პრაქტიკულ გამოცდილებაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ერთვის შესაბამისი ინფორმაცია ლექტორთა

საქმიანობის თაობაზე, რომლითაც დასტურდება მათი საქმიანობის საკითხები. თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამას უმეტესად ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა, რამდენადმე პრობლემურია, რადგან უსდ-ს მოქნილი პოლიტიკის პირობებში დასაქმებულ სტუდენტებთან მიმართებით გაცდენების „აღდგენა“ ხშირად ხდება კონკრეტული ლექტორების საკონსულტაციო საათების განმავლობაში; შესაბამისად, კოლეჯს უნდა მიეცეს რჩევა, გაზარდოს აკადემიური პერსონალი და შეამციროს მოწვეულ ლექტორთა რაოდენობა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საჯარო სამართლის მიმართულებით ლექტორთა დატვირთვას. თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად საჯარო სამართლის მოდულს ახორციელებს 4 აკადემიური პერსონალი და 8 მოწვეული ლექტორი. სასურველია კოლეჯმა იზრუნოს შესაბამისი აკადემიური მდგრადი რესურსის გაზრდაზე და შესაბამისი მოქნილობის (იგულისხმება ცხრილი, საკონსულტაციო დატვირთვა) უზრუნველყოფის მიზნებისთვის სულ მცირე გაათანაბროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. თუმცა, კრიტიკულ ნიშნულამდე მისვლამდე, მოცემული მომენტისთვის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და სხვა პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

უსდ-ს გაწერილი აქვს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესიც, რომელსაც რექტორი ამტკიცებს. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად: [„აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი“ არეგულირებს და დეტალურად განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების პროცედურასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული წესის თანახმად კოლეჯში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსი ცხადდება საჯაროდ როგორც კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე დასაქმების პორტალებზე, როგორიცაა www.jobs.ge ან/და www.hr.ge. საკონკურსო კომისია კონკურსანტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, გ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული სამეცნიერო სტიპენდიები, გრანტები, გამოგონებები და სხვა პროფესიული აქტივობები; ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა; ვ) წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობა.

> აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი მოიცავს სამ ეტაპს: ა) წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა-შერჩევა; ბ) კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება; გ) შედეგების განსაზღვრა-შეჯამება. გარდა ამისა, კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია კონკურსანტებს მოეთხოვოთ საჩვენებელი ლექციის ჩატარება.

აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორების უმრავლესობა იკვლევს და პერიოდულად აქვეყნებს აკადემიურ ნაშრომებს. პროგრამის ბაზაზე მოქმედებს

პერიოდული გამოცემა -„ერუდიტი“. აღნიშნული ჟურნალი წარმოადგენს საერთაშორიშო ჟურნალს, თუმცა არ არის შესაბამის დონეზე გამოყენებადი იურიდიულ წრეებში. იგულისხმება ციტირების რაოდენობა, თუ სხვადასხვა უნივერსიტეტებში მისი სილაბუსებში მითითების რაოდენობა, გამოყენებადობა და სხვ. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი, საილუსტრაციო მაგალითად: მოქმედი დეკანი, სხვადასხვა წინა დოკუმენტში მოხსენიებული იყო, როგორც ვიცე-რექტორი, აგრეთვე ის პარალელურად არის პროგრამის აკადემიური პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციები შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ვებგვერდი: nu.edu.ge • ნიუ უნივერსითის დებულება https://bit.ly/2FL5ryA • თვითშეფასების დოკუმნეტი; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, • პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები; • პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
• **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** კოლეჯს უნდა მიეცეს რჩევა, გაზარდოს აკადემიური პერსონალი და შეამციროს მოწვეულ ლექტორთა რაოდენობა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საჯარო სამართლის მიმართულებით ლექტორთა დატვირთვას. სასურველია კოლეჯმა იზრუნოს შესაბამისი აკადემიური მდგრადი რესურსის გაზრდაზე და სულ მცირე გაათანაბროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ უსდ, საკუთარი ხარისხის კონცეფციიდან გამომდინარე, რეგულარულად აწარმოებს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების შედეგები, რომლის განხორციელება დასტურდება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან გასაურების შედეგად.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას სამიზნე ჯგუფებთან განხორციელებული ინტერვიურებიდან ვასკვნით, რომ უსდ-ში წარმატებით მოქმედებს ე.წ. აფილირების მექანიზმი, რომელიც პროგრამული პერსონალის წახალისების ფინანსურ ელემენტებს მოიცავს, რაც აკადემიური პერსონალის შემთხვევაში მოტივაციის საფუძველს ქმნის.

პროფესიული განვითარების დაფინანსება უსდ-ს პროგრამული ბიუჯეტის 4%-ს შეადგენს, რაც ჯამში 9,000 ლარს არ აღემატება. თუმცა, პროგრამული ბიუჯეტი სახელფასო (60%) საბიუჯეტო ხაზს მიღმა ჯამურად 40%-ით აფინანსებს სხვადასხვა აკადემიურ თუ განმავითარებელ აქტივობას. სამეცნიერო აქტივობებისთვის პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია გარკვეული თანხები. კოლეჯის მხარდაჭერით პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებში, სხვა აქტივობებში გერმანიაში, თურქეთში, ბაქოში, უკრაინაში. ბიუჯეტის 3% ხმარდება სამეცნიერო სტატიების მხარდაჭერას (მათ პუბლიკაციას საზღვარგარეთ). ამას გარდა, ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ

პროგრამას აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკა, ლონდონის სამართლის სკოლასთან (საჯარო ლექციები), ჩეხეთის, ბულგარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, ასევე კანადასა და სლოვაკეთთან. ადმინისტრაციის ინფორმაციით მოცემული მომენტისთვის ხარისხის სამსახურის თანამშრომელი იმყოფება London School of Economics" (LSE)-ის მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; • პროგრამის ბიუჯეტი; • სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. • თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს " ნიუ უნივერსითი"-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამართულია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით, აუდიტორიები კარგ მდგომარეობაშია, შექმნილია კომფორტული გარემო სწავლებისათვის. საბიბლიოთეკო რესურსი საბაკალავრო პროგრამის მიზნებისთვის დამაკმაყოფილებელია, სამართლის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ლიტერატურა. უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ყველა სტუდენტს შეუზღუდავი წვდომა აქვს. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსი: www.questia.com - აღნიშნულ ბაზაზე სრული წვდომა ეხმარება სტუდენტებს მაქსიმალურად აითვისონ უცხოენოვანი უახლესი წყაროები და აქტიურად გამოიყენონ ისინი სწავლის პროცესის განმავლობაში. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცის შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდთან სტუდენტებს შეუზღუდავი წვდომა აქვთ. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე აქვს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს " სრულ რესურსზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობით და გააჩნია ელექტრონული წიგნების ფონდი.
ასევე აქვს, თანამედროვედ აღჭურვილი იმიტირებული სასამართლო დარბაზი, უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი აუდიტორიები და სტუდენტებისთვის ადაპტირებული სამუშაო და მოსასვენებელი სივრცები. ასევე, კომფორტული, თანამედროვე ტიპის სასადილო. კოლეჯის პირველი სართული სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ლიფტის სამონტაჟო სამუშოები, შენობის შშმ პირებისათვის სრულად ადაპტაციის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- კოლეჯის ბიუჯეტი;
- მემორენდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო

პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ კოლეჯის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უნივერსიტეტს გააჩნდეს წვდომა ისეთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსებზე, როგორიცაა - "EBSCO"; HeinOnline" - აღნიშნული ტიპის ბაზებზე (რომელიმე მათგანზე) სრული წვდომა, უფრო მეტად შეუწყობს ხელს, როგორც სტუდენტებს ისე აკადემიურ პერსონალს, მაქსიმალურად აითვისონ თანამედროვე, ავტორიტეტული უცხოენოვანი წყაროები და აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესის განმავლობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის და აკრედიტაციის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუების, აგრეთვე გამოთხოვილი ინფორმაციის/დაზუსტებების თანახმად უსდ-ს სამართლის პროგრამა გააჩნია საკუთარი პროგრამული ბიუჯეტი უსდ-ს საერთო ბიუჯეტის ფარგლებში. ფაკულტეტზე ყოველწლიურად განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ცვალებადია. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, წლების მიხედვით ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია. პროგრამის ხელმძღვანელობა აღნიშნულს განიხილავს კვალიფიციური კადრების ჩართულობის მნიშვნელოვანი წინაპირობად.

ბიუჯეტის სტრუქტურა დაფუძნებულია ისეთი ტიპის ხარჯვით მუხლებზე, რომელიც მიმართულია სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ხელშეწყობისაკენ. ნიუ უნივერსითის ბიუჯეტში ნაწილობრივ გათვალისწინებულია ფინანსური უზრუნველყოფა იმ პროცესების, რომლებიც ემსახურება დაწესებულების კვლევითი პოტენციალის ამაღლებას, დაინტერესებული აუდიტორიისათვის საუნივერსიტეტო მიღწევების გაცნობას, საქმიანი კონტაქტების დამყარებას უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და ა.შ. როგორც მოცემული დოკუმენტაციიდან და ინტერვიურებიდან იკვეთება, უცხო ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირის ფარგლებში კოლეჯიდან მივლენილ იქნა მისი აკადემიური პერსონალი. პროგრამისთვის საერთაშორისო კავშირების კუთხით დამატებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, რომელსაც მას კოლეჯი სთავაზობს. სხვა მხრივ, უშუალოდ დოკუმენტაციიდან არ იკვეთება კონკრეტულ პროექტებში თანამონაწილეობა, თუ სხვა სახის აქტივობა. თითოეული შეთანხმება შედარებით ზოგად შინაარსს მოიცავს. მაგალითად, სტუდენტებთან მიმართებით (გაცვლითი პროგრამის კუთხით), წარმოდგენილ მასალაში სამართლის არცერთი სტუდენტია მითითებული, რომელმაც ამ პროგრამით ისარგებლა.სამართლის პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული თანხებით.

პროგრამისთვის გამოყოფილ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 60% მოდის სახელფასო ბიუჯეტზე, რომელიც აერთიანებს პროგრამის მომსახურე საშტატო განრიგით გათვალისწინებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, აგრეთვე შტატგარეშე მომუშავე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას;

ბიუჯეტის სხვა ხაზები ითვალისწინებს წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრებისათვის ფინანსური უზრუნველყოფას; ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურებას; სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა ტიპის სოციალური და საზოგადოებრივი სახის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის სტუდენტების მხარდაჭერასა და წახალისებას; სტუდენტებისათვის სტიპენდიებსა და სხვა ტიპის დაფინანსებებს; პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის დაფინანსებას საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სემინარებისა თუ ვორკშოპებში მონაწილეობისათვის და სხვა.ბიუჯეტში გაწერილი ეს

საკითხი ამ ეტაპზე უფრო მეტად მოწოდებულია სამომავლო მიზნებისთვის. ის ფაქტი, რომ ვთქვათ, გაცვლით პროგრამებში სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა, არ არის ნათლად დადასტურებული წარმოდგენილი დოკუმენტაციით. აკრედიტაციის ვიზიტისას ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა არ არის დოტაციური. მას გარკვეული შემონატანი მოაქვს უსდ-ს ბიუჯეტში, მომავალ საანაგარიშო პერიოდებში საინტერესო იქნება ფინანსური სურათის დინამიკის ხილვა და პროგრამის ბიუჯეტის შეფასება ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ნიუ უნივერსითის ბიუჯეტი • პროგრამის ბიუჯეტი • თვითშეფასების დოკუმენტი • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტისა და ხარისხის მექანიზმების აღმწერი დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ **შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალური მექანიზმები კარგად არის ჩამოყალიბებული და გაწერილი, ლოკიგურია და თანმიმდევრული.** შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობას უზრუნველყოფს **PDCA** ციკლი.

სწავლების ხარისხის სრულყოფისათვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს. აღნიშნული ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვით და დასტურდება თვითშფასების ანგარიშის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით, ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტით და სხვა დამხმარე მასალით (კითხვარები, ანკეტები, შედეგების ანალიზი, ა.შ.).

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ხარისხის სამსახურის **განახლებულ კონცეფციას ეხმიანება,** 4 მიზანს აყალიბებს:

- უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტის ხარისხის მუდმივი შეფასება და განვითარება;
- უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში შიდა და გარე დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის ცნობადობისა და აღიარების ხელშეწყობა. შპს „ნიუ უნივერსითი“-ს

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც უსდ-ს მარეგულირებელი დოკუმენტაციის თანახმად:

1. წარმართავს მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებულ საქმიანობას;
2. შეიმუშავებს აღნიშნული პროცესების ხარისხის შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტებს და მეთოდებს;
3. სისტემატურად აფასებს უსდ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ამ საქმიანობაში ჩართული პერსონალის განვითარების ხარისხს;
4. ორგანიზებას უწევს უსდ-ს თვითშეფასების პროცესს ავტორიზაციის/აკრედიტაციისთვის;
5. ხელს უწყობს უმაღლესი განათლების საერთაშორისო სივრცეში უნივერსიტეტის ჩართულობას.

სამსახურის განახლებული კონცეფცია არა მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვასა და დადგენილი პროცედურების იმპლემენტაციას გულისხმობს, არამედ მისი მნიშვნელოვანი დანიშნულებაა მოახდინოს ხარისხის საკითხებისადმი ე.წ. „გამჭოლი მიდგომა“ - **უზრუნველყოს ინსტიტუციის საქმიანობის ყველა დონეზე ხარისხის კულტურის დანარეგვა და განვითარება**. ხარისხის სამსახურის ადამიანური რესურსი შესაბამისი კვლაიფიკაციის პირობებში საკმარისი უნდა იყოს პროგრამის ხარისხის კონტროლის მიზნებისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციის მიერ ვიზიტის ფარგლებში გაზიარებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი კვლალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებზე იმყოფება დიდ ბრიტანეთში, ერთ-ერთ წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებაში (LSE).

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომლებიც თავის მხრივ, ხორციელდება **თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით.** მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

შიდა ხარისხის **სისტემური კვლევების/შეფასებების** მეშვეობით ხდება პროგრამების (სწავლა-სწავლების), სერვისების, რესურსების, კვლევითი საქმიანობის შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევების მეშვეობით ხდება ერთი და იმავე ჯგუფის, სფეროს, მიმართულების შესწავლა, დინამიკაზე დაკვირვება და განვითარების ტენდენციების განსაზღვრა.
შიდა ხარისხი ითვალისწინებს საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების ჩატარებას, რომლთაც ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი კვლევების საკითხი შეიძლება იყოს: საერთაშორისო, დაბალი აკადემიური მოსწრების, მობილობით მოსარგებლე, სპეციალური საჭიროებების მქონე, სტატუსშეჩერებული, სტუდენტების საჭიროებების კვლევა და ა.შ. **(იხ. თვითშეფასების დოკუმენტი, გვ.64-65).**

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზანია, „ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას.“ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ეყრდნობა PDCA ციკლს. საგანმანათლებლო პროგრამის და მისი შინაარსის მიმართ არსებული მოთხოვნები

გაწერილია უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების ინსტრუქციით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, აგროვებს პროგრამებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ურთიერთშეჯერებით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის „დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით“, პროგრამის აკრედიტაციის ვადით ფაკულტეტზე შეიქმნა პროგრამის განვითარების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით. აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, გათვალისწინებული იქნა მონაწილეთა უკუკავშირი.

ხარისხის შეფასების დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის და აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უსდ იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმს და ძირითადად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების უკუკავშირს როგორც პროგრამის, ასევე, საგნების დამუშავების პროცესში. ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის ჩართულობა სახეზეა.

დოკუმენტის შედგენისას, თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულ დაინტერესებულ პირთა ჩართულობის მიუხედავად, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია (განხორციელებული საკადრო ცვლილებების შემდეგ, მოქმედი დეკანი), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი /თანა-ხელმძღვანელი ყველაზე აქტიურ როლს ასრულებნენ თვითშეფასების მომზადებაში. რაც შეეხება პროგრამის ბენეფიციარებს - სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობა ნაკლებად თვალსაჩინოა, რასაც სამართლის პროგრამის სტუდენტთა უახლესი გამოკითხვაც მოწმობს. კითხვაზე, „საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების გამო შეგქმნიათ თუ არა რაიმე შეფერხება?“, გამოკითხული სტუდენტების (35%) დაახლოებით 2/3 ნაწილი 66.7% აფიქსირებს, რომ არც კი აქვს ინფორმაცია ამ ტიპის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, ხოლო 1/3 ნაწილი ამბობს, რომ არანაირ შეფერხებას არ ჰქონია ადგილი. **(იხ.სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა 2019 წ. გამოკითხვის შედეგებიგვ. 8, დიაგრამა #12**) მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგები ექსტრაპოლაციის საშუალებას არ იძლევა (მხოლოდ 35% მიიღო მონაწილეობა) და ძირითადი ტენდენციების ჩვენებით შემოიფარგლება, ამ მონაწილეობითაც ჩანს, რომ აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს პროგრამის რაიმე ტიპის მოდიფიკაციაზე. უსდ-ს ზომისა და სტუდენტთა მცირე მასის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მეტად აღქმადი /ხელშესახები/ კომუნიცირებადი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სტუდენტების ჯგუფთან შეხვედრისას გამოიკვეთა გარკვეული პრობლემური საკითხები:

1. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა უმეტესობას წარმოადგენს უცხოელი /უცხოენოვანი სტუდენტები, რომელთა დასწრება სტუდენტების ფოკუს ჯგუფში არ იყო უზრუნველყოფილი. დაწესებულებამ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოთხოვნილი სიის ალტერნატიული განხორციელება დაასაბუთა იმ ფაქტით, რომ უცხოენოვან (აზერბაიჯანულენოვან) სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას სტატუსი შეჩერებული აქვთ სხვადასხვა მიზეზით (გამოითქვა მოსაზრებაც, რომ აღნიშნული ძირითადად ენობრივ ბარიერს უკავშირდება), შესაბამისად, არარელევანტური იქნებოდა მათთან

შეხვედრა, მით უფრო, რომ მათი უმრავლესობა მაღალი ალბათობით ქალაქში/ქვეყანაში არ იმყოფებებოდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა (ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით), რამდენიმე აქტიური აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტის/ ან კურსდამთავრებულის კოორდინატები. ადგილზე, ჯგუფის თავმჯდომარე დაუკავშირდა ერთ-ერთ მათგანს, სთხოვა მას დაედასტურებინა ვინაობა და აღეწერა კოლეჯის თანამშრომლობის/სწავლის პროცესი. გასაუბრების შინაარსიდან და კომუნიკაციის ხარისხიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ: ა)რესპოდენტმა კარგად ვერ გაიგო დასმული შეკითხვები / მისი პასუხები ნაკლებად რელევანტური იყო, შესაბამისად საეჭვოა მის მიერ სახელმწიფო (ქართული) ენის ფლობის პროგრამის შესაბამისი დონე; ბ) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მაღალი ალბათობით შეიძლება დავასკვნათ, რომ რესპოდენტი იმავე კოლეჯში ბიზნესის მიმართულებით სწავლობდა და სავარაუდოდ მხოლოდ შემდგომ გადავიდა სამართლის პროგრამაზე, რაც სავარაუდოდ რამდენიმე კვირით ადრე განხორციელდა; გაუგებარი იყო მისი ინფორმირებულობის ხარისხი პროგრამასთან, კურსებთან თუ ლექტორებთან მიმართებით. ფაქტობრივად შეუძლებელი იყო მისგან რაიმე შინაარსობრივი ინფორმაციის მიღება,მათ შორის სამართლის პროგრამისადმი მისი ინტერესის და მოტივაციის ჩათვლით; გ) გასაუბრების დროს რესპოდენტი მართლაც არ იმყოფებოდა ქ. თბილისში.
ჯგუფმა კიდევ რამდენიმე უცხოენოვან პირთან სცადა დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ **(იხ. სტანდარტები 1.2; 2.1)** უცხოენოვან სტუდენტთა მასის წილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროგრამაზე შემომავალი სტუდენტების საერთო რაოდენობაში. ასე მაგალითად, ბოლო ოთხი წლის მონაცემებს თუ შევაჯერებთ, ცხადი ხდება,რომ მოქმედ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა უცხოელია: 2016წ.-83% (57/69) 2017 – 81% (64/79), 2018 -97% (57/59), 2019 - 63.5% (52/82) (იხ. თვითშეფასების დოკუმენტი, გვ. 5-6);
ამასთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ დაადასტურა რომ, თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული, ბოლო 4 წლის მანძილზე მობილობით (გარე+შიდა) გადასულ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა 12-ს შეადგენს, ხოლო მობილობით მიღებულ სტუდენტთა ჯამი -79-ს (გასაუბრებისას დასახელდა განახლებული ციფრი 89). თვითშეფასების დოკუმენტის მონაცემებზე დაყრდნობით, ამ ეტაპზე, მოქმედ პროგრამაზე, ბოლო 4 წლის მონაცემებით სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა ჯამურად 100-ს აღწევს, რაც სტუდენტთა სრული მასის დაახლოებით 35%-ს (100/289) შეადგენს. ე.ი. **სტუდენტთა მესამედზე მეტს შეჩერებული აქვს სტატუსი,** როგორც ჩანს, მათგან მეტი წილი უცხოენოვანია. თვითშეფასების დოკუმენტის მონაცემებზე დაყრდნობით, საერთო მაჩვენებლების დაჯამებით ქართულენოვან სტუდენტთა რაოდენობა საშუალოდ 60 სტუდენტს არ აღემატება.

2. უსდ-მ აღნიშნა, რომ გარკვეულ პერიოდში მონიტორინგის შედეგად ხარისხის კონტროლმა მნიშვნელოვან ბარიერად გამოავლინა ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის გამოწვევა; იგივე აღინიშნა **2019 წელს ჩატარებულ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებში,** კვლევაში მონაწილე გამოკითხულ სტუდენტთა(სრული რაოდენობის 35%) დაახლოებით 1/5-მა (24.2%) ერთ-ერთ პროგრამულ რეკომენდაციად დაასახელა ქართულენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფების გამიჯვნა, რაც მათი აზრით, სწავლების პროცესის ეფექტიანობის ხარისხის გაზრდიდა. (იხ. სტანდარტი 2.1. - დაშვების წინაპირობები, აგრეთვე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა 2019 წ. გამოკითხვის შედეგები, გვ.12). შიდა ხარისხის თვალსაზრისით, უცხოელთა ასეთი მაღალი ჩარიცხვიანობის ფონზე, საინტერესო იქნებოდა მსგავსი სისტემური, პერიოდული კვლევისას მითითებული ყოფილიყო უცხოენოვანი სტუდენტთა მასის რა რეპრეზენტაცია აისახა აღნიშნულ

კვლევაში (რამდენი უცხოელი რესპოდენტი ჰყავდა კვლევას). ქართულენოვან სტუდენტთა ჯამური რაოდენობა სრული სტუდენტთა მასის მხოლოდ 20%-ს თუ შეადგენს, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ქართულენოვანი სტუდენტის მონაწილეობის პირობებშიც, კვლევამ სულ მცირე 15% მოიცვა არაქართულენოვანი/უცხოელი სტუდენტებისა. **სასურველი იქნებოდა დამატებითი საჭიროებაზე ორიენტირებული კვლევის ჩატარება უცხოენოვანი სტუდენტური კომპონენტისთვის, ან უფრო ფართე გამოკითხვის ფარგლებში უცხოელთა/უცხოენოვანთა მიზნობრივ ჯგუფს მიკუთვნებულ** სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებისა და საჭიროებების ანალიზი სამართლის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

უსდ-ს ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად გვეცნობა, რომ ენობრივი ბარიერის გამოწვევის საპასუხოდ კოლეჯის ფარგლებში უკვე 1 წელია ფუნქციონირებს 60 კრედიტიანი პროგრამა სადაც არაქართულენოვანი სტუდენტები ეუფლებიან ქართულს. პროგრამა დაასრულა 50 სტუდენტმა; ამჟამად კოლეჯი ელოდება გადაწყვეტილებას მათი ჩარიცხვის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ 50-ვე სტუდენტი აზერბაიჯანულენოვანია, პროგრამა ექსპერიმენტულია, შესაბამისად შეუძლებელია ექსპერტთა ჯგუფმა ამ ეტაპზე შეაფასოს თუ რამდენად შეეძლებათ მათ ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის დაძლევა. წინა პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, ჯერ-ჯერობით ეს საკითხი გამოწვევად რჩება. მით უფრო, როდესაც ორივე ენის ჯგუფს ფაქტიურად თანაბრად აქვთ გამოწვევები მეორე (ინგლისური) ენის დაძლევის მხრივ. (მათი საშუალო დონე მერყეობს A2-დან – B1(1) დონემდე), სადაც, აზერბაიჯანულენოვან სტუდენტთა უმრავლესობა ძირითადად A2 დონეზეა. აქედან გამომდინარე დამატებითი სამართლებრივი მასალის მითითება უცხო ენაზე (სულ მცირე საწყის სემესტრებში) ნაკლებსავარაუდოა, რომ შედეგს გამოიღებს. გასაუბრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ ქართულენოვან სტუდენტს აქვს ენის ბარიერი (სულ მცირე ვერბალურ ნაწილში) და შესაძლოა გაძლიერება სჭირდებოდეს სახელმწიფო ენის ცოდნის მხრივ. **რაკიღა პროგრამას აქვს უნიკალური ენობრივი დამატებითი პროგრამული მხარდაჭერის შესაძლებლობა, მიზანშეწონილია ყველა მსგავსი საჭიროების სტუდენტისთვის უზრუნველყოს მსგავსი სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა.**

სამართლის პროგრამაზე გამოკითხულ სტუდენტთა 72.7% (სრული მასის დაახლოებით 25% = საშუალოდ 74 სტუდენტი) დასაქმებულია; სტუდენტების 45.5%-ის ამჟამინდელი საქმიანობა შესაბამისობაშია მისი პროგრამის კვალიფიკაციასთან, 24,2%-ის მეტ-ნაკლებ შესაბამისობაში, ხოლო 3% ამბობს, არ არის შესაბამისობაში. აკრედიტაციის ვიზიტისას სტუდენტთა ნაწილთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ უსდ-ს აქვს მოქნილი მიდგომა გრაფიკთან დაკავშირებით, რაც თავისთავად დადებითი ფაქტია სტუდენტზე ორიენტაციის თვალსაზრისით, თუმცა სტუდენტთა უმრავლესობას გაუჭირდა დაესახელებინა რომელ დღეს, რომელ საგანში, რომელ ლექტორთან აქვთ ცხრილით გათვალისწინებული ლექცია. ხშირ შემთხვევაში დაზუსტება ან კურსელის დახმარება სჭირდებოდათ ლექტორების გვარების, საგნის შინაარსის, სემინარის დროის ან ლიტერატურის ავტორის გასახსენებლად. ეს პრობლემა განსაკუთრებით ნათლად ჩანდა დასაქმებული სტუდენტების შემთხვევაში. სტუდენტთა უმრავლესობა კოლეჯის მთავარი ღირსებად და მოტივაციად გადმოსვლისთვის აღწერა ფრაზით: „აქ ხელს მიწყობენ“, „მოქნილი გრაფიკი“. ინტერვიუირების შედეგად დავადგინეთ, რომ ა) ადმინისტრაციასთან ურთიერთობა ნამდვილად პოზიტიურია და გარკვეულ შემთხვევებში სტუდენტის ინტერესებზე სისტემის მორგება ხდება; ბ)სტუდენტები ხშირად იყენებენ საკონსულტაციო საათებს გაცდენების კომპენსირებისთვის; გ)ლექტორთა მხრიდან ხდება დასაქმებული სტუდენტების ხელშეწყობა, რაც სტუდენტთა სხვადასხვა გამოკითხვაშიც აღინიშნა. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ლექტორები შესაძლოა საკუთარი დროის ხარჯზეც უწევდნენ კონსულტაციას სტუდენტებს (საღამოს საათებში) დ)

მსგავსი სისტემატიური მოქნილობა, კრიტიკული მასის დაგროვების შემთხვევაში სასწავლო პროცესის აშკარა გამოწვევად იქცევა და შესაძლოა მისი ობსტრუქცია მოახდინოს. მე-2 სტანდარტის ფარგლებში გათვალსიწინებული შენიშვნების მიღმა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა რაოდენობის/დასაქმების მაჩვენებლის ზრდის შემთხვევაში უსდ მაღალი ალბათობით დადგება კრიტიკული პრობლემის წინაშე, რადგან ჩვეულებრივი საკონსულტაციო საათები ვერ მოახდენს სწავლების პროცესის კომპენსირებას, რაც ერთის მხრივ გამოიწვევს შესაძლო არათანაბარ მიდგომას ორივე (დამსწრე/გამცდენ) ჯგუფს მიკუთვნებულ სტუდენტებთან მიმართებით, მეორეს მხრივ გადატვირთავს აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს. აქვე იქმნება პრობლემა შრომით კონტრაქტებთან და შესაძლო ზეგანაკვეთურ ანაზღაურებასთან მიმართებით, რადგან ხშირ შემთხვევაში კომუნიკაცია საღამოს საათებში იქნება მოხერხებული, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩვეულებრივი სამუშაო დღე აღნიშნულს ძნელად გაითვალისწინებს, ხოლო მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება არ გულისხმობს მითითებულ საათებს მიღმა კონსულტირებას/სწავლებას. **შესაბამისი საჭიროების კვლევაზე/გამოკითხვაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგად უსდ-მ უნდა განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა და სტრატეგია სასწავლო პროცესის ამ გამოწვევის საპასუხოდ.** ხარისხის უზრუნველყოფის აღწერილი მექანიზმები ამ შესაძლებლობას იძლევა. თუ საჭიროდ მიაჩნია და სტუდენტების ინტერესებსაც ერგება, კოლეჯმა შეიძლება განიხილოს სასწავლო ცხრილის კარდინალური ცვლილებაც, მაგ. მეტი რეგულარობის უზრუნველსაყოფად, საღამოს საათებზე კონცენტრაცია, ან მაქსიმალურად ინდივიდუალიზებული ცხრილის აწყობის შესაძლებლობა. **ვფიქრობთ, საჭიროა დაწესებულებას ამ მხრივ მოქნილობის უზრუნველყოფის კონცეპტუალური ხედვის მიღმა მისი პრაქტიკაში რეალიზაციის პროცესის შესაბამისი ხედვა გააჩნდეს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების დოკუმენტი - ხარისხის დოკუმენტები (**იხ. ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება**) - ინტერვიუ - საბაკალავრო პროგრამა
რეკომენდაციები: **სასწავლო პროცესის ნორმალიზების, სასწავლო ცხრილის მდგრადობის და პერსონალის დატვირთვის შესაბამისი საჭიროების კვლევაზე/გამოკითხვაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგად უსდ-მ უნდა განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა და სტრატეგია სასწავლო ცხრილის მოქნილობასთან მიმართებით. მოქნილობის უზრუნველყოფის კონცეპტუალური ხედვის მიღმა, აუცილებელია უსდ-ს მისი პრაქტიკაში რეალიზაციის პროცესის შესაბამისი ხედვა გააჩნდეს.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **რაკიღა პროგრამას აქვს უნიკალური ენობრივი დამატებითი პროგრამული მხარდაჭერის შესაძლებლობა, მიზანშეწონილია ყველა მსგავსი საჭიროების სტუდენტისთვის უზრუნველყოს მსგავსი სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია 2014 წელს მიიღო. აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციების მიხედვით: სილაბუსებში დაზუსტდა სწავლების მეთოდები, დაიხვეწა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ამასთან გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი და ინგლისურენოვანი კომპონენტი. ამავდროულად, უსდ-მ ხელი შეუწყო პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო და საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებში და სამუშაო მივლინებებში. გამოწვევად დარჩა სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის სახით უცხოენოვანი ლიტერატურის მითითება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის ადმინისტრირების პროცესში განხილულ იქნა და შესრულდა აკრედიტაციის დროს მიღებული ზოგიერთი რეკომენდაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების დოკუმენტი - ხარისხის შეფასების დოკუმენტები - ინტერვიუ - საბაკალვრო პროგრამა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული აქცენტის გათვალისწინებით, სასურველია უსდ-მ განიხილოს და განახორციელოს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური შეფასების შესაძლებლობები.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების ნაწილში ხარისხის შეფასების დასადასტურებლად კოლეჯს წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის „სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი“, „პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგი“, „სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების პროგრამების განვითარების მიზნით გამოყენების ანგარიში“. აკრედიტაციის პერიოდში სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი მეტწილად ეფუძნება სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა პერიოდულ (2019 წ.) გამოკითხვის შედეგებს. კვლევის

ინსტრუმენტს წარმოადგენს სტრუქტურირებული ანკეტა, 23 კითხვით, სადაც გათვალისწინებულია კითხვები, სამართლის პროგრამის შეფასების სხვადასხვა ასპექტის მიმართულებით.

2018 წლის დეკემბერი-2019 წლის თებერვლის პერიოდში ჩატარებულ (სისტემურ) კვლევას სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით. ანალიზისთვის კვლევის შედეგებში ასევე ჩართულია 2017 წელს („განათლების აკადემიის“ ფარგლებში) ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც. კვლევა გახორციელდა რაოდენობრივი მეთოდით, 3 ტიპის (სამიზნე ჯგუფების მიხედვით) სტრუქტურირებული ელექტრონული კითხვარის გამოყენებით. მონაცემთა მოგროვებისთვის გამოყენებულ იქნა Survey Monkey-ს პლატფორმა. გამოპასუხების პროცენტი პერსონალის შემთხვევაში შეადგენდა 75%-ს2, ხოლო სტუდენტების შემთხვევაში კი 43%-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უსდ იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმს, ხოლო ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უსდ ძირითადად ითვალისწინებს დაინტერესებული პირების უკუკავშირს როგორც პროგრამის, ასევე, საგნების დამუშავების პროცესში. ჩანდა სტუდენტების რეკომენდაციების შესრულება პრაქტიკული კომპონენტისა და ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით, თუმცა, როგორც ზემოთ (5.1.) აღინიშნა დაფიქსირდა მთელი რიგი გამოწვევები ზოგადად პროცესში სტუდენტთა ჩართულობის და მონაწილეობის ხარისხის თვალსაზრისით. სასურველია ასევე შემდგომი პერიოდული კვლევების უფრო სრულყოფილად ჩატარება, რათა ისინი მეტად ასახავდეს არსებულ გამოწვევებს, მეტად წარმომადგენლობითი, საჭიროებაზე ორიენტირებული იყოს, უცხოელთა მაღალი ხვედრითი წილის ფონზე, სისტემური, პერიოდული კვლევისას გამოიყოს შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფები. მოხდეს დამატებითი საჭიროებაზე ორიენტირებული კვლევ(ებ)ის ჩატარება უცხოენოვანი სტუდენტური კომპონენტის გათვალისწინებით /ფართე კვლევების ფარგლებში ჩაიშალოს შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს არსებული სპეციფიკის გათვალისწინება. სასურველი იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად მჭიდროდ ითანამშრომლოს პროგრამის ადმინისტრაციასთან რათა წინასწარ გამოიკვეთოს ის საკითხები, რომელთა ანალიზიც სამართლის საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრაციის ხედვით რაოდენობრივი/თვისებრივი კვლევის ფარგლებში საჭირო და საინტერესოა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ხარისხის შეფასების დოკუმენტები
- აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები
- საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

პროგრამის განვითარებისთვის შედეგზე ორიენტირებული ანალიზის შემდგომი პერიოდული კვლევები უფრო სრულყოფილად ჩატარდეს, რათა ისინი მეტად ასახავდეს არსებულ გამოწვევებს, მეტად წარმომადგენლობითი, საჭიროებაზე ორიენტირებული იყოს; უცხოელთა მაღალი ხვედრითი წილის ფონზე,

სისტემური, პერიოდული კვლევისას გამოიყოს შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფები. მოხდეს დამატებითი საჭიროებაზე ორიენტირებული კვლევ(ებ)ის ჩატარება უცხოენოვანი სტუდენტური კომპონენტის გათვალისწინებით /ფართე კვლევების ფარგლებში ჩაიშალოს შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს არსებული სპეციფიკის გათვალისწინება. პროგრამის შემდგომი განვითარების პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად მჭიდროდ ითანამშრომლოს პროგრამის ადმინისტრაციასთან რათა წინასწარ გამოიკვეთოს ის საკითხები, რომელთა ანალიზიც სამართლის საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრაციის ხედვით რაოდენობრივი/თვისებრივი კვლევის ფარგლებში საჭირო და საინტერესოა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - გადაიხედა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის მიზნები და შემუშავდა ხარისხის პოლიტიკა; - გაძლიერდა ინგლისურენოვანი კომპონენტი - გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის		X		

განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ ალექსიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო შენგელია



სახელი, გვარი, ხელმოწერა: სერგი ჯორბენაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თათია უბერი